ფეხით მოსიარულეებში საგზაო შემთხვევების პრევენცია

ჩვენ ყველა ფეხით მოსიარულეები ვართ. ხშირად გვიხდება ფეხით გადაადგილება და საჭიროა, ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გადაადგილებას. ფეხით გადაადგილებისას აუცილებელია გონების ისეთივე კონცენტრაცია, როგორც ავტომობილის, ველო ან მოტო-ტრანსპორტის მართვისას. აუცილებელია, გამოვიყენოთ ბავშვობაში ნასწავლი უნარები:

- **გაჩერდი! გაიხედე მარცხნივ-მარჯნივ და კვლავაც მარცხნივ, იყავი დაცული და წაახალისე სხვებიც!**
- **ფეხით გასეირნებამდე მოემზადე და ეცადე:**
  - ✓ ჩაიცვა ღია ფერის თვალსაჩინო ტანსაცმელი
  - ✓ დაბნელებისას გამოიყენე მანათობელი ან თეთრად და წითლად შეღებილი რაიმე საგანი
  - ✓ ფეხით გადაადგილებისას შეარჩიე უსაფრთხო მარშრუტი (განათებული ქუჩები საფეხმავლო ბილიკებით, ზებრა და მიწისქვეშა გადასასვლელებით).
- **ისწავლე მოძრაობის წესები!**
  - ✓ როგორც პოტენციურმა მძღოლმა თვალყური ადევნე ტრანსპორტის მოძრაობას და გზით ყველა მოსარგებლის ქცევას და გაუზიარე შენი მოსაზრება უფროსებს
  - ✓ დაიცავი მოქმედი წესები და კანონები: ისარგებლე საფეხმავლო ბილიკით, მისი არარსებობის შემთხვევაში ეცადე იარო ქუშის მარცხენა მხარეს სახით ტრანსპორტის მოძრაობისკენ
  - ✓ გზის სავალი ნაწილის გადაკვეთამდე გაიხედე მარცხნივ-მარჯვნივ-მარცხნივ და უკან
  - ✓ ისარგებლე ზებრა გადასასვლელით და გადაკვეთე გზა კუთხეებში ან გზაჯვარედინზე
  - ✓ დაემორჩილე საცალფეხო გადაკვეთის სიგნალებს.
- **იყავი ყურადღებით არ გამოგეპაროს მოძრავი მანქანა!**
  - ✓ გაითვალისწინე, შესაძლოა, მძღოლი ვერ გხედავს ან ყურადღება აქვს გაფანტული
  - ✓ არ გადაკვეთო გზის სავალი ნაწილი, სანამ მძღოლი არ შეაჩერებს მანქანას ან განიშნებს დასტურს გზის გადაკვეთისთვის.
- **უზრუნველყავი უსაფრთხო გადაადგილება!**
  - ✓ გზის სავალი ნაწილის გადაკვეთისას არ მოადუნო ყურადღება
  - ✓ თავი შეიკავე ყურსასმენების გამოყენებასა და სატელეფონო მიმოწერა - საუბარზე
  - ✓ გზით სხვა მოსარგებლის გაუთვალისწინებელი მანევრის შემთხვევაში იყავი მზადყოფნაში

- ✓ რაც უფრო ადრე შეამჩნევ შესაძლო კონფლიქტს, მით მეტი დრო და შანსი გაქვს აირიდო საგზაო შემთხვევა
- ✓ მიეცი დრო მძღოლს მანქანის დამუხრუჭებისა და შეჩერებისთვის.

- **გაეცანი ქვეითების საგზაო შემთხვევების მიზეზებს!**
  - ✓ ავტოკატასროფის მიზეზის გააზრება დაგეხმარება დაგეგმო შენი უსაფრთხოდ გადაადგილება.

გაუფრთხილდი სიცოცხლეს!

https://www.nhtsa.gov/sites/nhtsa.dot.gov/files/11146b-preventpedestriancrashes.pdf